# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 197(6531) 7 ოქტომბერი 2021 წ. ხუთშაბათი ფასი 40 თეთრი


## ესპანეთმა იტალიის 37-მატჩიანი წაუგებელი რეკორდული სერია სან-სიროზე შეწყვიტა და ერთა ლიგის ფინალში გავიდა

**იტალია 1:2 ესპანეთი**



ბონუჩის გაძევების შემდეგ, იტალიის ნაკრები 42-ე წუთიდან რიცხვობრივ უმცირესობაში თამაშობდა

2 გვ.

## ლუის ენრიკე: ესპანეთმა გუნდური თამაშით მოიგო

რობერტო მანჩინი: ეს მარცხი კიდევ უფრო გაგვაძლიერებს



2 გვ.

## დიდიე დეშამი: ბელგია მსოფლიოსა და ევროპაში ერთ-ერთი ტოპ-გუნდია, უდიდესი შემტევი პოტენციალით

რობერტო მარტინესი: საფრანგეთის შესაძლებლობებზე საუბარიც კი ზედმეტია

ერთა ლიგის 1/2 ფინალი, ტურინი, ალიანც-სტადიუმი 22:45

**დღეს: ბელგია vs საფრანგეთი**



2 გვ.

## მამუკელაშვილის საუცხოო მატჩი მილუოკიში: 29 წუთი, 9 ქულა და 7 მოხსნა NBA-ს საგამოფენო მატჩში

ბითაძემ ინდიანას რიგებში 3 ქულა, 2 მოხსნა და 2 დაფარება დააგროვა



8 გვ.

## საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა




3 გვ.

## რეალმა მბაპეს 6-წლიანი კონტრაქტით წელიწადში 40 მილიონი ევრო შესთავაზა



3 გვ.

## გიორგი სარდალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია



8 გვ.

# ესპანეთმა იტალიის 37-მატჩიანი წაუგებელი რეკორდული სერია სან-სიროზე შეწყვიტა და ერთა ლიგის ფინალში გავიდა

ერთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში მილანის „სან სიროს" არენაზე ესპანეთის ნაკრებმა ევროპის მოქმედი ჩემპიონი იტალია 2:1 დაამარცხა და ფინალში გავიდა. ესპანელების მეტოქე დღეს, ბელგია-საფრანგეთის წყვილში გაირკვევა. ფინალური შეხვედრა ასევე „სან სიროს" არენაზე 10 ოქტომბერს გაიმართება. მესამე ადგილისთვის მატჩში კი, ამავე დღეს ტურინის „ალიანც სტედიუმზე" იტალიის ნაკრები მეორე ნახევარფინალურ წყვილში ნაგებულს დაუპირისპირდება.


ფერან ტორესმა იტალიას დუბლი შეუსრულა

რაც შეეხება გუშინდელ მატჩს, ესპანელებმა კარგად დაიწყეს და მე-17 წუთზე ფერან ტორესის გოლით დაწინაურდნენ. 42-ე წუთზე ლეონარდო ბონუჩიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და იტალიელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, რასაც ტაიმის მიწურულს ფერან ტორესის მეორე გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში იტალია მძიმედ გამოიყურებოდა და შანსს ელოდებოდა, რომელიც 83-ე წუთზე მიიღო. ფედერიკო კიეზას პასით პელეგრინიმ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მასპინძლებმა მეტის გაკეთება ველარ მოახერხეს.

ამ მარცხით, იტალიის ნაკრების 37-მატჩიანი რეკორდული წაუგებელი სერია შეწყდა. რობერტო მანჩინის გუნდმა ამ მონაკვეთში 29 შეხვედრა მოიგო და 7 ფრედ დაასრულა. წინა მარცხი იტალიელებმა 2018 წლის 10 სექტემბერს ერთა ლიგაზე პორტუგალიასთან განიცადეს (0:1).

**ლუის ენრიკე:** ძალზე კარგი თამაში იყო და ორივე გუნდი ქებას იმსახურებს. ბევრი მომენტი შევქმენით, კარგად ვთამაშობდით პრესინგს, ძალზე კმაყოფილი ვარ. რთულია ორიოდე ვარჯიშში რაღაც გააკეთო, მაგრამ ფეხბურთელები საქმეს მშვენივრად მოეკიდნენ. მიზანს გუნდური თამაშით მივაღწიეთ. ფერან ტორესი და ოიარსაბალი ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ. კმაყოფილები ვართ ფინალში გასვლით, ვნახოთ, რა იქნება.

**რობერტო მანჩინი:** ასეთი მატჩების ბედი ხშირად იცვლება ინციდენტების გამო. პირველი ტაიმი მშვიდად შეიძლებოდა 1:1 დასრულებულიყო. გასაგებია, რომ ესპანეთი კარგად ფლობს ბურთს, მაგრამ ასე, კაცნაკლულად წაგება რთული მისაღებია. დავუშვით შეცდომა, რაც ასეთ დონეზე არ უნდა ხდებოდეს. სიმართლე გითხრათ, არ დამინახავს ბონუჩის მეორე ყვითელი, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. ლეონარდოს გაფრთხილება არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში უნდა მიეღო.

# დიდიე დეშამი: ბელგია მსოფლიოსა და ევროპაში ერთ-ერთი ტოპ-გუნდია, უდიდესი შემტევი პოტენციალით

## რობერტო მარტინესი: საფრანგეთის ტოპ-ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მათ შესაძლებლობებზე საუბარიც კი ზედმეტია

ერთა ლიგის მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს საფრანგეთი და ბელგია დაუპირისპირდებიან. შეხვედრა ტურინში, „იუვენტუსის" არენაზე ჩვენი დროით 22:45 სთ-ზე დაიწყება.

ერთა ლიგის ფინალური ტურნირი ორივე გუნდს ევრო-2020-ზე განცდილი წარუმატებლობისთვის რეაბილიტაციის შანსს აძლევს. ბევრი ელოდა, რომ საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატს მოიგებდა, მაგრამ დიდიე დეშამის გუნდმა მერვედფინალში შვეიცარიასთან სენსაციური მარცხი განიცადა (3:3, 4:5პენ.). ბელგია ოდნავ შორს წავიდა, მაგრამ დაძაბულ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ იტალიის ბარიერს ვერ გასცდა (1:2).

ახლა, ორივე ნაკრები შეეცდება დაამტკიცოს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნაადრევი ფიასკო მხოლოდ შემთხვევითობა იყო.

გუშინდელ პრესკონფერენციებზე ფრანგთა დამრიგებელმა დიდიე დეშამმა და ბელგიელთა თავკაცმა რობერტო მარტინესმა მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხეს:

**დიდიე დეშამი:** სასწორზე ტიტული დევს და ნახევარფინალში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ძალზე რთული ჯგუფიდან ამ სტადიამდე მოვსულიყავით. ადრე ევრო და მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, ახლა ერთა ლიგაცაა. მისი მოგება ჩვენი მიზანია...



— ვიცი, რა შემადგენლობით მსურს თამაში ბელგიასთან მატჩში. გეთანხმებით, რომ 3-4-1-2 სქემამ კარგად იმუშავა ფინეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია. ჩემი ამოცანაა, მეტოქეს რაც შეიძლება ბევრი პრობლემა შევუქმნათ...

— ბელგიის ნაკრების 6-7-მა ფეხბურთელმა ნაკრებში 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. მათი ღერძი ძალზე გამოცდილია და ამ გუნდს გიგანტური შემტევი პოტენციალი გააჩნია. ბელგია მსოფლიოსა და ევროპაში ერთ-ერთი ტოპ-გუნდია...

— კილიან მბაპე? ვერ ვიტყვი, რომ მასთან მუშაობა რთული საქმეა. ის მუდამ მუშაობს გუნდური მიზნების მისაღწევად. რა თქმა უნდა, მას დამოუკიდებლად შეუძლია მატჩის მიმდინარეობის შეცვლა, მაგრამ ის ამის გამო არასდროს დააყენებს საკუთარ თავს გუნდს გარეთ. მე ვესაუბრები მას, ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელებს. და ეს საუბრები სასარგებლოა. როდესაც რაღაც მაქვს სათქმელი, ვაკეთებ ამას. ასე იყო ყოველთვის და მომავალშიც ასე იქნება. მირჩევნია, კილიანი ჩემი გუნდის შემადგენლობაში იყოს. ვიცი, რომ საფრანგეთი მასთან ერთად უფრო ძლიერია, ვიდრე მის გარეშე.

**რობერტო მარტინესი:** ერთა ლიგის ფინალური სტადია განსხვავებული მოვლენაა, რამდენადაც როგორც წესი, ფინალური ეტაპისთვის დიდხანს ემზადები. აქ ყველაფერი სწრაფად ვითარდება და ჩვენ უკვე ნახევარფინალში ვითამაშებთ. გამარჯვებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ნაკრები ვალდებულია იბრძოლოს ტიტულისთვის ყველა იმ ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობს. მართალია, ფეხბურთელთა ამ თაობისთვის ერთა ლიგა უკანასკნელი შანსი არ არის, მაგრამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ექნება...

— ჩვენ გვაქვს ჩვენი უპირატესობები, ისევე, როგორც საფრანგეთს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია. გუნდი უკიდურესად მოტივირებულია. საფრანგეთის ნაკრები ტოპ-ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მათ შესაძლებლობებზე საუბარიც კი ზედმეტია. მართალია, ერთი თვის წინ, ისინი შორს იყვნენ იდეალისგან, მაგრამ ეს ჩვენთვის არაფერს ნიშნავს. ეს ნახევარფინალია და ფრანგები შეძლებენ მასში თავის გამოჩენას.

## უეფას ერთა ლიგა

1/2 ფინალი

### იტალია 1:2 ესპანეთი

**გოლი:** ფერან ტორესი 17, 45+2 (0:1, 0:2), პელეგრინი 83 (1:2)

**იტალია:** დონარუმა, დი ლორენცო, ბონუჩი, ბასტონი, ემერსონი, ვერატი (58. ლოკატელი), ჟორჟინიო (64. პელეგრინი), ბარელა (72. კალაბრია), კიეზა, ბერნარდესკი (46. კოლინი), იმობილე (58. მოიზე კინი)

**ესპანეთი:** სიმონი, ასპილიკუეტა, ლაპორტი, პაუ ტორესი, ალონსო, გავი (84. სერხი რობერტო), ბუსკეტსი, კოკე (75. მერინო), სარაბია (75. ხილი), ოიარსაბალი, ფერან ტორესი (49. პინო)

**გაფრთხილება:** ბონუჩი 30, 42, ასპილიკუეტა 45, სარაბია 65, პინო 71, ლოკატელი 82, ოიარსაბალი 89

**გაძევება:** ბონუჩი 42

**კუთხური:1/5 ; ჯარიმა:14/18**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

აფრიკის კვალიფიკაცია

| | |
|---|---|
| სუდანი-გვინეა | 1:1(0:0) |
| მაროკო-გვინეა ბისაუ | 5:0(2:0) |

## ევროპის ჩემპიონატი

U-19 კვალიფიკაცია

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ავსტრია-ესტონეთი | 4:0(1:0) |
| ბელორუსი-უნგრეთი | 1:2(0:1) |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფინეთი-პოლონეთი | 3:1(2:0) |
| უკრაინა-მალტა | 4:2(2:1) |

X ჯგუფი

| | |
|---|---|
| უელსი-საქართველო | 0:0 |
| ნორვეგია-კოსოვო | 3:0(1:0) |

XII ჯგუფი

| | |
|---|---|
| ისლანდია-სლოვენია | 3:1(2:0) |
| იტალია-ლიეტუვა | 2:0(1:0) |

XIII ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ყაზახეთი | 3:0(1:0) |
| ჩრ. ირლანდია-დანია | 0:2(0:0) |

## ევროპის ჩემპიონატი

U-17 კვალიფიკაცია

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| თურქეთი-მალტა | 6:1(3:0) |
| ჩერნოგორია-დანია | 0:2(0:0) |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბელგია-ლუქსემბურგი | 0:1(0:0) |

IX ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფარერები-სლოვენია | 0:8(0:4) |
| ავსტრია-კოსოვო | 0:1(0:0) |

## გერმანია

ჩრდ. რეგიონალლიგა

| | |
|---|---|
| ოლდენბურგი-იედელო | 3:1(1:0) |

ჩრდ/აღმ. რეგიონალლიგა

| | |
|---|---|
| აუერბახი-ლოკომოტივი ლ. | 0:1(0:0) |
| ჰერტა2-იენა | 2:2(1:2) |
| ბერლინი-კოტბუსი | 2:2(2:1) |

დას. რეგიონალლიგა

| | |
|---|---|
| ჰომბურგი-სტრელენი | 0:1(0:0) |
| უერდინგენი-ლოტე | 2:0(0:0) |

## ბოსნია

თასი

| | |
|---|---|
| კრუპა-გრადაჩაცი | 0:2(0:1) |
| ნოვი გრადი-ლეოტარი | 1:2(0:0) |
| ზვეზდა-ველესი | 0:3(0:1) |

## ჩეხეთი

თასი

| | |
|---|---|
| დუკლა-ჩესკე ბუდეიოვიცე | 1:3(1:0) |
| ვარმსდორფი-ბრნო | 2:2(2:0დ.დ.) |

## ესტონეთი

თასი

| | |
|---|---|
| პარნუ-ტაბასალუ | 0:1(0:1) |

## საბერძნეთი

თასი

| | |
|---|---|
| დიაგორასი-აელ ლარისა | 1:1(0:1დ.დ.) |
| იპატო-ეო ტრიკალა | 0:1დ.დ. |
| კარდიცა-ალმოპოსი | 1:1(2:0პენ.) |
| კოზანი-აგიოსი | 1:1(4:5პენ.) |
| ლევადიაკოსი-კალამატა | 2:0(0:0) |
| ნიკო ვოლოსი-ერგოთელისი | 2:0(0:0) |
| პანახაიკი-პაე ეგალეო | 1:0(0:0) |
| პანსერაიკოსი-ირაკლისი | 2:1(0:0) |
| პროდეფტიკი-ქსანთი | 0:2(0:1) |

## ლატვია

I ლიგა

| | |
|---|---|
| დინამო რიგა-სუპერ ნოვა | 1:3(0:1) |

## იაპონია

თასი

| | |
|---|---|
| ნაგოია-ტოკიო | 3:1(1:0) |
| ურავა-სერეზო | 1:1(1:0) |

## სლოვაკეთი

თასი

| | |
|---|---|
| კუბინი-მიკულაში | 3:2(1:0) |

## შვედეთი

მე-2 ლიგა

| | |
|---|---|
| სკელეფტეა-ბოდენსი | 1:0(0:0) |

## უკრაინა

I ლიგა

| | |
|---|---|
| კრემინი-პრიკარპატია | 1:1(0:1) |
| კრივბასი-ვოლინი | 2:1(2:0) |
| ჟიტომირი-არგო | (გად.) |
| ნივა ტერნოპილი-ობოლონი | 0:1(0:0) |

## ბრაზილია

სერია A

| | |
|---|---|
| კორინთიანსი-ბაჰია | 3:1(1:1) |

სერია B

| | |
|---|---|
| ავაი-პონტე პრეტა | 1:1(1:0) |
| ნაუტიკო-გოიასი | 3:2(2:1) |

Copa Paulista

| | |
|---|---|
| სან ბენტო-რიო კლარო | 1:1(0:0) |

## ჩილე

პრიმერადივიზიონი

| | |
|---|---|
| ნუბლენსე-ლა სერენა | 0:1(0:1) |

## კოლუმბია

სუპერთასი

| | |
|---|---|
| ამერიკა დე კალი-სანტა ფე | 1:2(1:0) |

## პარაგვაი

თასი

| | |
|---|---|
| სპ. ლუქუენო-დე უქტუბრე | 1:1(4:3პენ.) |
| ოლიმპია-რესისტენცია | 2:1(1:0) |

ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბულგარეთი(19)-შვეიცარია(19) | 0:4(0:1) |
| იტალია(16)-ავსტრია(16) | 2:3(0:2) |
| ხორვატია(19)-რუსეთი(19) | 3:3(1:1) |
| საფრანგეთი(19)-ინგლისი(19) | 3:1(1:0) |
| ნიდერლანდები(19)-პორტუგალია(19) | 3:1(2:1) |
| იორდანია-მალაიზია | 4:0(2:0) |
| ბაჰრეინი-კიურასაო | 4:0(0:0) |
| სლოვაკეთი(19)-გერმანია(19) | 1:6(0:2) |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 4:1(3:0) |
| ლაიფციგი-სლავია | 1:2(1:2) |
| უნიონ ბერლინი-სტ.გალენი | 1:3(0:1) |
| ჰარტბერგი-კაფენბერგი | 1:0(0:0) |

## კალათბურთი

NBA საგამოფენო მატჩები

| | |
|---|---|
| ნიუ იორკ ნიქსი-ინდიანა | 125:104 |
| ჩიკაგო-კლივლენდი | 131:95 |
| ჰიუსტონი-ვაშინგტონი | 125:119 |
| მემფისი-მილუოკი | 87:77 |

ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ნიჟნი ნოვგოროდი-უნიკახა | 62:79 |
| პრომეთეი-ტენერიფე | 70:73 |
| შომბატელი-აეკ | 83:78 |
| გალათასარაი-ნიმბურკი | 101:85 |
| ოლდენბურგი-რიტასი | 76:72 |
| ბრინდიზი-პაოკ | 61:88 |
| სტრასბური-კალევი | 75:73 |
| მანრესა-ოსტროვი | 81:76 |

საფრანგეთი

| | |
|---|---|
| გრაველინი-პარიზი | 90:82 |
| ლიმოჟი-ბურჟი | 54:59 |

იტალია

| | |
|---|---|
| პეზარო-ტრიესტე | 74:61 |

ლატვია/ესტონეთის ლიგა

| | |
|---|---|
| პარნუ-ლიეპაია | 79:68 |
| ტალინა კალევი-ვენტსპილსი | 89:69 |

ლიეტუვა

| | |
|---|---|
| ნეპტუნასი-ლიეტკაბელისი | 53:81 |

## ჰოკეი

ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ტრინეცი-სლოვანი | 3:0 |
| ლუკო-კარდიფი | 5:2 |
| დონბასი-კლაგენფურტი | 3:4 |
| როუენი-რუნგსტედი | 5:1 |
| სპარტა-ბრემეჰავენი | 5:2 |
| ლოზანა-მანჰეიმი | 2:5 |

ფინეთი

| | |
|---|---|
| ასატი-იიპი | 2:3 |
| ჰამეენლინა-იოკერიტი | 4:0 |
| კოოკოო-კარპატი | 4:3 |

KHL

| | |
|---|---|
| ვლადივოსტოკი-პოდოლსკი | 3:2 |
| სიბირი-დინამო რ. | 3:1 |
| ნურ სულთანი-ავანგარდი | 1:0 |
| ეკატერინბურგი-იოკერიტი | 5:1 |
| დინამო მ.-ცსკა | 0:3 |

NHL საგამოფენო მატჩები

| | |
|---|---|
| კაროლინა-ნეშვილი | 2:3დ.დ. |
| აილენდერსი-ფილადელფია | 3:0 |
| პიტსბურგი-ბაფალო | 5:4პენ. |
| ტამპა ბეი-ფლორიდა | 2:3 |
| ტორონტო-მონრეალი | 6:2 |
| დალასი-სტ.ლუისი | 3:1 |
| კოლორადო-ვეგასი | 4:7 |
| ვანკუვერი-სიეტლი | 0:4 |
| ნიქსი-არიზონა | 1:4 |

## ჩოგბურთი

WTA-Indian Wells (USA), hard

| | |
|---|---|
| ბეგუ-ფერო | 6:2, 7:6 |
| ლი-დოო | 2:6, 7:5, 5:7 |
| პეტკოვიჩი-პუტინცევა | 6:7, 1:6 |

## საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა

6 ოქტომბერს, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადების პროცესში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით პირველად ივარჯიშა. ს.კ. ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე საწვრთნელი პროცესი ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა და მასში მონაწილეობა 25-მა ფეხბურთელმა მიიღო.

ოქტომბრის საწვრთნელი შეკრების ფარგლებში 7 ოქტომბერს, ვილი სანიოლის გუნდი თბილისში ბოლო ვარჯიშს გამართავს და ჩარტერული რეისით ბათუმში გაემგზავრება.

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეექვსე ტურის მატჩი საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის 9 ოქტომბერს „ბათუმი არენაზე" შედგება. შეხვედრა 20:00 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ რეპორტაჟს საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ. www.nakrebi.ge-ს მიხედვით.



# პსჟ-მ შესაძლოა სერხიო რამოსი იანვარში გაყიდოს



„ელ ნასიონალის" ინფორმაციით, ფრანგული პსჟ-ს ხელმძღვანელობა შეშფოთებულია გუნდის მცველ სერხიო რამოსის ჯანმრთელობის მდგომარეობით და გამორიცხული არაა, ესპანელმა ვეტერანმა კლუბი იანვარში დატოვოს. გაიჟღერა „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტმა, რომელიც ადრე რამოსის გადაბირებით ინტერესდებოდა.

რამდენიმე დღის წინ, პსჟ-ს დამრიგებელმა მაურისიო პოჩეტინომ რამოსთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა:

„ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს მის პროგრესს. იმედი გვაქვს, სერხიო რაც შეიძლება მალე დაგვიბრუნდება, მაგრამ მოცემულ მომენტში, თარიღის დასახელება არ შეგვიძლია. ის გამოცდილი ფეხბურთელია და როდესაც თამაშს დაიწყებს, ადაპტირებას სწრაფად მოახერხებს."

შეგახსენებთ, რომ რამოსს თითქმის მთელი გასული სეზონი ტრავმები ტანჯავდა და მენისკზე ოპერაციაც კი გაიკეთა. შედეგად, რამოსმა „რეალში" ყველა ტურნირზე მხოლოდ 21 მატჩი ჩაატარა, რაც მის კარიერაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

35 წლის სერხიომ ბოლო ოფიციალური მატჩი 5 მაისს ჩაატარა. მაშინ იგი ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსისთან" ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში (0:2) გავიდა მოედანზე, მანამდე კი, ტრავმის გამო, თვეზე მეტი დაისვენა. „არისტოკრატებთან" შეხვედრის შემდეგ, მცველი „მყესის ანთების" დიაგნოზით, კვლავ დიდი ხნით გადავიდა ლაზარეთში და ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვა.

8 ივლისს პსჟ-მ რამოსთან 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ გამოაცხადა. მან თავისი საყვარელი 4-ნომრიანი მაისური ტილო კერერისგან მიიღო. 26 ივლისს ცნობილი გახდა, რომ პსჟ-ს ახალწვეულმა ვარჯიშზე წვივის კუნთი დაიზიანა. სწორედ ის ტრავმა მიიღო, რის გამოც გაზაფხულზე ერთი თვე გაუცდა. მას შემდეგ 2 თვეზე მეტი გავიდა, რამოსის აღდგენის ვადები კი, უცნობი რჩება. თავად ფეხბურთელი არაფერს ამბობს და გულშემატკივრებს თავს მხოლოდ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ვიდეორგოლებით და ფოტოებით ახსენებს. ახლახან, იგი პარიზელ სხვა ვარსკვლავებთან ერთად სპონსორის რეკლამაში გადაიღეს.

სექტემბრის ბოლოს, რამოსი ბურთთან მუშაობდა, ბოლო პოსტი კი, ერთი კვირის წინ გამოაქვეყნა. ფოტო ვარჯიშის დროსაა გადაღებული.

# მილანში დონარუმას შეურაცხმყოფელი ბანერები გამოუფინეს და უსტვინეს

## ფაბიო კაპელო: დონარუმა მილანს უმადურად მოექცა

გუშინ, იტალიის ნაკრები ერთა ლიგის ნახევარფინალში ესპანეთს შეხვდა. „სან სიროს" არენაზე მისულმა „მილანის" გულშემატკივრებმა „სკუადრა აძურას" კიპერ ჯანლუიჯი დონარუმას შეურაცხმყოფელი ბანერები დაახვედრეს.

„მილანიდან" პსჟ-ში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასულ ახალგაზრდა მეკარეს „როსონერის" ლალატში ადანაშაულებენ. მას უსტვინეს, ხოლო მატჩამდე, ქალაქის ხიდზე უზარმაზარი ბანერი გამოფინეს წარწერით: „დონარუმა, ნეხვის ნაჭერო. მილანში შენი დანახვა უკვე აღარასდროს გაუხარდებათ".

დონარუმასთან დაკავშირებით „მილანის" ყოფილმა მწვრთნელმა, ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა ფაბიო კაპელომ ისაუბრა:

– ჯანლუიჯი ითხოვდა, რომ მისთვის არ ესტვინათ? იმედი მქონდა, რომ მისი თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, რადგან მან განვლილ ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა, მესმის „მილანის" ფანების რეაქცია...

– უნდა აღვნიშნო, რომ იგი „მილანს" უმადურად მოექცა, როდესაც პსჟ-ში გადავიდა. იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც კლუბმა მისთვის, მისი ოჯახისთვის გააკეთა, ვალდებული იყო, სხვაგვარად მოქცეული ყო, – განაცხადა კაპელომ.



# კაზემირო ბრაზილიის ნაკრებს ვენესუელასთან, კოლუმბიასა და ურუგვაისთან ვერ დაეხმარება

მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი კაზემირო ბრაზილიის ეროვნულ გუნდს მონდიალი-2022-ის უახლოეს შესარჩევ მატჩებში ვერ დაეხმარება. ამის შესახებ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ვებ-გვერდი იუწყება.



– სამედიცინო გამოკვლევის შედეგები მივიღეთ. კაზემიროს სიბრძნის კბილის ანთება აქვს. ფეხბურთელს უახლოესი 5 დღის განმავლობაში დატვირთვა ეკრძალება, – აღნიშნა ბრაზილიის ნაკრების ექიმმა როდრიგო ლასმარმა.

ბრაზილია 8 ოქტომბერს ვენესუელას სტუმრობს, 11-ში - კოლუმბიას, ხოლო 15 ოქტომბერს ურუგვაის უმასპინძლებს. ტიტეს შეგირდები სამხრეთამერიკის კვალიფიკაციის ცხრილს 8-მატჩში მოპოვებული 8 გამარჯვებით ლიდერობენ.

# სალაჰმა ლივერპულს კვირაში 445 ათასი ევრო მოსთხოვა

„ინდეპენდენტის" ინფორმაციით, მერსისაიდული „ლივერპულის" ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა კლუბს ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით საკუთარი ფინანსური მოთხოვნები აცნობა.



ცნობის თანახმად, ეგვიპტელს ხელფასის სახით კვირაში 445 ათას ევრომდე მიღება სურს. თუ „ლივერპული" მის პირობებს დათანხმდება, სალაჰი კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

ფორვარდს „წითლებთან" მოქმედი კონტრაქტი 2023 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მან გუნდის შემადგენლობაში შვიდივე მატჩი სასტარტოში დაიწყო, 6 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა.

29 წლის სალაჰი „ლივერპულში" 2017 წლიდან თამაშობს. ინგლისურ გრანდში იგი იტალიური „რომადან" 42 მილიონ ევროდ გადავიდა. მანამდე, მოჰამედი „ალ მოკაულუნში", „ბაზელში", „ჩელსისა" და „ფიორენტინაში" თამაშობდა.

# რეალმა მბაპეს 6-წლიანი კონტრაქტით წელიწადში 40 მილიონი ევრო შესთავაზა

## ლეონარდო: ამის მოთმენა არ შეიძლება



მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ფრანგული პსჟ-ს ფორვარდ კილიან მბაპეს 6-წლიანი კონტრაქტის მიხედვით, ხელფასის სახით წელიწადში 40 მილიონი ევრო შესთავაზა. ამის შესახებ ჟურნალისტი ნიკოლო სკირა „ტვიტერზე" წერს.

პარიზელები ძალზე უკმაყოფილოები არიან „რეალისა" და მბაპეს თემის კვლავ გააქტიურებით, რაზეც კლუბის სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ ისაუბრა:

— ეს უნდა დასრულდეს. ეს ყველაფერი კლუბსა და კილიანის მიმართ უპატივცემლობის გამოვლენაა. ასეთი გაუგონარი შემოტევის მოთმენა არ შეიძლება. მბაპე პსჟ-ს ფეხბურთელია, — განაცხადა ლეონარდომ.

პსჟ-ს ხელმძღვანელობა მბაპეს გამონათქვამებითაც უკმაყოფილო დარჩა. მიმდინარე კვირაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ფრანგი ფეხბურთელი აღიარებს, რომ გასულ ზაფხულს მადრიდის „რეალში" სურდა გადასვლა და ადრევე აცნობა კლუბს ამის შესახებ. ასევე, ფორვარდმა მიანიშნა, რომ მოცემული მომენტისთვის, პარიზელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ გეგმავს.

როგორც ესპანური As-ი წერს, 22 წლის ფეხბურთელი მასმედიის წარმომადგენლებს ისე შეხვდა, რომ თავისი კლუბისგან ნებართვა არ მიუღია.

მბაპეს პსჟ-სთან მოქმედი კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულში უმთავრდება და კლუბი მისი თავისუფალი აგენტის სტატუსით დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. კილიანს „რეალთან" წინასწარი შეთანხმების გაფორმება უკვე იანვარში შეუძლია.

# გარი ლინეკერი: სისულელეა მოსაზრება, თითქოს მესი პრემიერლიგაში წარმატებას ვერ მიაღწევდა

## ...დიეგო მარადონას „ღმერთის ხელი" ვაპატიე, მაგრამ მსაჯი არ დამვიწყებია...



ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა, ტელეექსპერტმა გარი ლინეკერმა კომენტარი გააკეთა მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ პსჟ-ს ფორვარდი ლიონელ მესი საკუთარი ფიზიკური მონაცემების გამო, ინგლისის პრემიერლიგაში წარმატებებს ვერ მიაღწევდა. მან ასევე აღნიშნა, რომ წლევანდელ „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთზე" მთავარ პრეტენდენტად სწორედ ლეოს მიიჩნევს.

— ეს ძალზე სულელური თვალსაზრისია. ზოგიერთები თვლიან, რომ ლეო ჩემ სამშობლოში წარმატებებს ვერ მიაღწევდა, რამდენადაც ჩვენ ლიგაში დიდი ფიზიკური მომზადებაა საჭირო. ეს იმდენად სულელური აზრია, რომ მხოლოდ მარტივი ფაქტით ვუპასუხებ: ლეომ ინგლისის პრემიერლიგის წარმომადგენელ გუნდებთან ჩატარებულ 35 მატჩში 27 გოლი გაიტანა და უახლოეს კონკურენტებს 15 გოლით უსწრებს. ეს ისტორიული მიღწევაა...

— ვფიქრობ, რომ მხოლოდ 2-3 ფეხბურთელს შეუძლია გააუმჯობესოს ეს შედეგი, პრემიერლიგაში ყოველკვირა თამაშით. ბევრი ინგლისელი გულშემატკივარი თვლის, რომ მხოლოდ პრემიერლიგაა ტოპ-ლიგა, დანარჩენ ჩემპიონატებში კი, წარმატების მოპოვება იოლია...

— წელს, კონკურენტებს ძალიან გაუჭირდებათ „ოქროს ბურთისთვის" მესის წინააღმდეგ ბრძოლა. მან სეზონის საუცხოო პირველი ნაწილი ჩაატარა, შემდეგ, არგენტინასთან ერთად კოპა ამერიკა მოიგო. ვფიქრობ, პრეტენდენტთა შორის ქარიმ ბენზემაც უნდა იყოს. ეს ეჭვგარეშეა. მე მას დიდ პატივს ვცემ, — აღნიშნა ლინეკერმა.

მან ასევე, „მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ კრიშტიანო რონალდუსთან კონტრაქტის გაფორმების საინტერესო დეტალებზე ისაუბრა:

— ყველაფერი ასე მოხდა. ედ ვუდვორდი (მანჩესტერის აღმასრულებელი დირექტორი. რედ.) ჩემი მეგობარი და მეზობელია. მან კრიშტიანო რონალდუსთან კონტრაქტი ჩემს ბაღში გააფორმა! როდესაც ის შემოვიდა, რონალდუს აგენტს ტელეფონით ესაუბრებოდა. იმედი მაქვს, ზედმეტებს არ ვყვები. საოცარი ფოტო მაქვს, როგორ ზის და საუბრობს ტელეფონზე. ერთხელაც, მისი ნებართვით გამოვაქვეყნებ, — განაცხადა ლინეკერმა.

გარიმ ასევე, ჟურნალისტის შეკითხვას უპასუხა იმის შესახებ, აპატია თუ არა მან ლეგენდარულ დიეგო მარადონას 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრების კარში ხელით გატანილი გოლი, რომელიც „ღმერთის ხელითაა" ცნობილი. მატჩი არგენტინამ 2:1 მოიგო. მარადონამ დუბლი შეასრულა, ლინეკერმა კი, არგენტინას გაუტანა.

— რა თქმა უნდა, მარადონას „ღმერთის ხელი" ვაპატიე, მაგრამ დღემდე არ დამვიწყებია მსაჯი. დარწმუნებული ვარ, გვერდითმა არბიტრმა ხელით თამაში დაინახა. ვფიქრობ, მას უბრალოდ, ამის დაფიქსირების შეეშინდა.

# ხორდი კრუიფმა ლაპორტა კუმანისთვის უკანასკნელი შანსი მიცემაში დაარწმუნა



ესპანური გამოცემების მტკიცებით, „ბარსელონას" სპორტულმა მრჩეველმა ხორდი კრუიფმა კლუბის პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა რონალდ კუმანისთვის უკანასკნელი შანსის მიცემაში დაარწმუნა.

ხუთშაბათს, ჩემპიონთა ლიგაზე ლისაბონის „ბენფიკასთან" 0:3 განადგურების შემდეგ, ლაპორტამ კუმანის მოხსნა გადაწყვიტა, მაგრამ პარასკევს, ლა ლიგაში „ატლეტიკოსთან" მატჩამდე (0:2) ერთი დღით ადრე, პრეზიდენტმა რონალდს დაურეკა და მას მხარდაჭერა გამოუცხადა.

TV3-ის ინფორმაციით, პარასკევს ლაპორტამ სიტუაცია უახლოეს გარემოცვასთან, მათ შორის ხორდი კრუიფთან განიხილა. სწორედ იოჰან კრუიფის ვაჟმა იხსნა კუმანი გადაყენებისგან.

ხორდიმ ლაპორტას უთხრა, რომ ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნება გუნდს ფეხზე დადგომაში დაეხმარება.

## რაფაელ ვარანი: ბელგიის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ გუნდური თამაშით შეიძლება

საფრანგეთის ნაკრების მცველმა რაფაელ ვარანმა ერთა ლიგის ნახევარფინალში ბელგიასთან დღეს გასამართი მატჩის წინ აღნიშნა, რომ მისი გუნდისთვის თამაშის დინამიურად დაწყება აუცილებელია.

– ნებისმიერი ტურნირის წინ, გამარჯვებაზე ფიქრობ. ევრო-2020-ზე ამოცანის გადაჭრა არ გამოგვივიდა, მაგრამ წინ ახალი გამოწვევებია. ასე რომ, ახალ მიზნებზე ვფოკუსირდებით და ვცდილობთ, ყოველ ჯერზე სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ. არ აქვს მნიშვნელობა, კარგად ვითამაშეთ მანამდე, თუ არა. ჩვენ უკვე მოვიგეთ მსოფლიოს ჩემპიონატი. ახლა, ერთა ლიგის მოგება გვსურს, რაც საუცხოო ემოციებს გვაჩუქებს...

– ბელგიასა და საფრანგეთს შორის ჯანსაღი კონკურენციაა. მათ კარგი გუნდი და თაობა ჰყავთ. ამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე დავრწმუნდით, სადაც ისინი დიდი ძალისხმევის ხარჯზე დავამარცხეთ. წინ ურთულესი მატჩია ძალზე ხარისხიან მეტოქესთან და ეს მოტივაციას გვმატებს...



– ვფიქრობ, ბელგიელთა ძლიერ მხარეებს და შემტევ პოტენციალს ვიცნობთ. გვესმის, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ გუნდური თამაშით შეიძლება. საფრანგეთს არ აქვს მოდუნების უფლება და თავიდანვე დინამიურად უნდა დავიწყოთ თამაში, – განაცხადა ვარანმა.

## კავანი მანჩესტერიდან შესაძლო წასვლაზე: აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდის ნაწილი ვიყო

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა ედინსონ კავანიმ განაცხადა, რომ მოცემულ მომენტში კლუბიდან წასვლაზე არ ფიქრობს.

– ფეხბურთში ასე ხდება ხოლმე: ხან მეტს თამაშობ, ხან – ნაკლებს. ბევრი ჭორი წარმოიქმნება, მაგრამ არ ღირს მათზე ყურადღების გამახვილება. მთავარია მზად იყო იმ მომენტისთვის, როდესაც შენი ჯერი დადგება. შენ ყოველთვის გსურს თამაში, მუდამ გინდა იყო მოედანზე, მაგრამ ამან საქმისადმი შენი მიდგომა არ უნდა შეცვალოს. სეზონი ახალი დაწყებულია. მე აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდის ნაწილი ვიყო," – განაცხადა კავანიმ.

ურუგვაელი ფორვარდი „წითელ ეშმაკებს" 2020 წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. კავანიმ მიმდინარე სეზონის სტარტი ტრავმის მიზეზით გამოტოვა. მან პრემიერლიგის 3 შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ შედეგიანობით ვერ გამოირჩა.

ბოლო ცნობებით, კავანის კატალონიურ „ბარსელონასაც" უკავშირებენ და მადრიდის „რეალსაც". არსებობს მოსაზრება, რომ იგი „იუნაიტედს" იანვარში დაემშვიდობება, რამდენადაც კრიშტიანო რონალდუს მისვლის შემდეგ, სათამაშო დროის დეფიციტს უჩივის.



## ფიორენტინამ იუვეს, სიტის, ტოტენჰემსა და ინტერს ვლაჰოვიჩი 90 მილიონი ევრო დაუფასა

ევროპის წამყვანი კლუბები „ფიორენტინას" ფორვარდ დუშან ვლაჰოვიჩის შეძენით ინტერესდებიან.

ფლორენციელები 21 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 90 მილიონს ითხოვენ. ამის შესახებ „ლა გაძეტა დელო სპორტი" იუწყება. ვლაჰოვიჩის გადაბირებას კი, „იუვენტუსი", „მანჩესტერ სიტი", „ტოტენჰემი" და „ინტერი" ცდილობენ.



ადრე წერდნენ, რომ თავად ფეხბურთელს არ სურს იტალიის ჩემპიონატის დატოვება და „იუვენტუსში" გადასვლითაა დაინტერესებული. ტურინელები მზად არიან „ფიორეს" იგივე სატრანსფერო სქემა შესთავაზონ, რომლის მიხედვითაც თავის დროზე ფედერიკო კიეზა გაიფორმეს: 2-წლიანი იჯარა და 60 მილიონ ევროდ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება.

ვლაჰოვიჩს „ფიორენტინასთან" მოქმედი კონტრაქტი 2023 წლამდე აკავშირებს.

## ჯეიმი კარაგერი: პრემიერლიგას სიტი მოიგებს, ოთხეულში კი, ლივერპული, ჩელსი და მანჩესტერი შევლენ

მერსისაიდული „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა, ექსპერტმა ჯეიმი კარაგერმა პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ტიტულზე მთავარი პრეტენდენტი დაასახელა და პირველი ოთხეულის საკუთარი ვერსია გამოაცხადა.

– მთავარი ფავორიტი „მანჩესტერ სიტია". როდესაც გუნდი სერხიო აგუერომ დატოვა, წარმოიშვა ეჭვები იმის თაობაზე, როგორ ითამაშებდნენ ისინი, რამდენადაც აგუეროს შემცვლელი ვერ იპოვნეს. თუმცა, ამ პრობლემის გადაჭრა პეპ გვარდიოლასთვის მარტივი ამბავი აღმოჩნდა. „სიტის" გასვლაზე 2 ურთულესი მატჩი ჰქონდა „ჩელსისთან" და „ლივერპულთან", მაგრამ მათ 4 ქულის აღება მოახერხეს, რითაც ფავორიტის სტატუსი დაადასტურეს...

– ჩემი აზრით, ჩემპიონი „სიტი" გახდება. პირველი ოთხეული კი, ასეთი იქნება: „მანჩესტერ სიტი", „ლივერპული", „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი", – ამბობს კარაგერი.

ამ მომენტისთვის, პრემიერლიგაში 16 ქულით „ჩელსი" ლიდერობს, მეორეზე „ლივერპულია" (15), მესამეზე – „სიტი" (14), მეოთხეზე კი, „მანჩესტერი" (14).



## ფედერერმა Nike-თან კონტრაქტზე უარით 600 მილიონი დოლარი გამოიმუშავა

„დიდი მუზარადის" ტურნირების 20-გზის გამარჯვებულმა როჯერ ფედერერმა კომპანია Nike-თან წელიწადში 10 მილიონი დოლარის კონტრაქტზე უარის თქმით, 600 მილიონი გამოიმუშავა. ამის შესახებ ჟურნალისტი ჯო პომპლიანო „ტვიტერზე" წერს.

შვეიცარიელმა Nike-თან კონტრაქტზე უარი 2018 წელს თქვა. ამის ნაცვლად, ჩოგბურთელმა 2 ნაკლებად ცნობილ ბრენდთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომლებმაც მას უფრო დიდი თანხები შესთავაზეს. გარდა ამისა, ფედერერთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, საბაზრო ღირებულება ერთ-ერთი კომპანიისა, რომლის აქციების ნაწილსაც თავად როჯერი ფლობს, იმდენად გაიზარდა, რომ ჩოგბურთელის შემოსავალმა 600 მილიონ დოლარს მიაღწია.

– არც ისე ცუდია, 40 წლის ჩოგბურთელისთვის, – წერს პომპლიანო.



## მირჩა ლუჩესკუ: ბარსელონაში ყველა მესიზე თამაშობდა, ლიონელი კი, მხოლოდ მოედანზე დადიოდა

კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ კატალონიური „ბარსელონადან" ფრანგულ პსჟ-ში ლიონელ მესის გადასვლა შეაფასა:



— არ ვიცი, რა გათვლა ჰქონდა მესის, მაგრამ 34 წლის ასაკში იოლი არაა სხვა გუნდში გადასვლა და მარტივად ჩაჯდომა შემადგენლობაში. „ბარსელონაში" თითოეული ფეხბურთელი მასზე თამაშობდა, ლიონელი კი, მხოლოდ მოედანზე დადიოდა. ის საშუალოდ მატჩში 8 კილომეტრზე მეტს არ დარბოდა. თუმცა, როდესაც მასთან ბურთი მიდიოდა, ის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფიგურა ხდებოდა. მას აძლევდნენ ამის უფლებას, — აღნიშნა ლუჩესკუმ.

## ვან დეიკმა მესისა და რონალდუს შორის არჩევანი გააკეთა

მერსისაიდული „ლივერპულის" მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა ფრანგული პსჟ-სა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდებს, ლიონელ მესისა და კრიშტიანო რონალდუს შორის არჩევანი გააკეთა:

— მიმაჩნია, რომ მესი კვლავ შეუდარებელი ფეხბურთელია. მას და რონალდუს ბოლო ათწლეულში სიურეალისტური ციფრები ჰქონდათ და გასაოცარია ის, რასაც მიაღწიეს. თუმცა, მე მესის ვირჩევ, რამდენადაც 2019 წელს ბარსელონაში უმძიმესი ღამე გვქონდა („ლივერპულმა ბარსასთან 0:3 წააგო. რედ.)...



— ერლინგ ჰოლანდი? ის განსაკუთრებული თავდამსხმელია, ძლიერი და სწრაფი. მას აქვს ყველა მონაცემი, რათა მცველებს სერიოზულად გაურთულოს ცხოვრება. ის რაღაცით ჯეიმი ვარდის მაგონებს, მაგრამ ჰოლანდი უფრო სწრაფია, — აღნიშნა ვან დეიკმა.

## მეჯიქ ჯონსონმა ისტორიაში ყველაზე დომინანტი კალათბურთელი დაასახელა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდამ მეჯიქ ჯონსონმა ისტორიაში ყველაზე დომინანტ კალათბურთელად ქარიმ აბდულ ჯაბარი დაასახელა.

— ქარიმი ყველაზე დომინანტი მოთამაშე იყო და დამერწმუნეთ, მეორე ქარიმ აბდულ ჯაბარი არარასდროს იქნება. ამ კუთხით, ის დიადი იყო, — განაცხადა მეჯიქმა.

აბდულ ჯაბარი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 6-გზის ჩემპიონია (1971, 1980, 1982, 1985, 1987, 1988). იგი 2-ჯერ დაასახელეს NBA-ს ფინალის MVP-დ (1971, 1985). ქარიმი 6-ჯერ გახდა NBA-ს MVP და „ოლ სტარის" მატჩში 19-ჯერ ითამაშა.

ადრე, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილმა მწვრთნელმა გერი ვიტიმ განაცხადა, რომ აბდულ ჯაბარს კალათბურთის ისტორიაში უდიდეს მოთამაშედ მიიჩნევს.



## ტიმს მაჯაზე ოპერაციის გაკეთება არ დასჭირდება

შარშანდელი US Open-ის ტრიუმფატორმა ავსტრიელმა ჩოგბურთელმა დომინიკ ტიმმა, რომელმაც როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის მსგავსად, მიმდინარე სეზონი ტრავმის მიზეზით ნაადრევად დაასრულა, გულშემატკივრებს აღდგენითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ „ტვიტერზე" გამოქვეყნებული ვიდეომიმართვით აცნობა:

— მოგესალმებით ყველას! კარგი ამბები მაქვს - ჩემი მაჯის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ის სტაბილურია და ოპერაციის გაკეთება არ მომიწევს. მომდევნო კვირებში სხვადასხვა ვარჯიშს შევასრულებ ძალასა და მოქნილობაზე. ახლა ყველაფერს გავაკეთებ, რომ კვლავ ვითამაშო ჩოგბურთი. ძალზე დიდხანს არ შევხებივარ ჩოგანს და საოცრად მენატრება, — აღნიშნა ტიმმა.



## კიკე ფლორესმა ხეტაფე მესამედ ჩაიბარა



ესპანურმა „ხეტაფემ" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კიკე ფლორესი დანიშნა.

56 წლის სპეციალისტმა მიჩელ გონსალესი შეცვალა, რომელიც სეზონის სტარტზე წარუმატებლობების გამო მოხსნეს.

„ხეტაფემ" ლა ლიგის შვიდი მატჩი წააგო და პირველი ქულა მხოლოდ მე-8 ტურში „რეალ სოსიედადთან" მოიპოვა (1:1). გუნდი ცხრილში ბოლო ადგილზეა.

რაც შეეხება კიკე ფლორესს, იგი „ხეტაფეს" უკვე მესამედ გაუძღვება. ადრე, მწვრთნელი ამ პოსტზე 2004-2005 და 2015 წელს მუშაობდა.

## ტოლისომ ვარჯიში განაახლა

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა კორენტენ ტოლისომ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში განაახლა. ამის შესახებ „რეკორდმაისტერის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.



27 წლის ფრანგი ფეხბურთელი წვივის კუნთის ტრავმისგან აღდგენას განაგრძობს. იგი 25 აგვისტოს გერმანიის თასზე „ბრემერთან" 12:0 მოგებულ შეხვედრაში დაშავდა და მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა.

## ბარსელონას ზარალმა 481 მილიონი ევრო შეადგინა

კატალონიურმა „ბარსელონამ" 2020-2021 ფინანსური წლის შედეგებით ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, კლუბის ზარალმა 481 მილიონი ევრო შეადგინა.

„ბლაუგრანას" შემოსავლები 26%-ით დაეცა წინა წელთან შედარებით - 855 მილიონი ევროდან 631 მილიონამდე. ამასთან, მოსალოდნელი შემოსავალი 828 მილიონ ევროდ ფასდებოდა.

შემოსავლების კლებაზე მთავარი ზეგავლენა კორონავირუსის პანდემიამ იქონია, რომელსაც მრავალი შეზღუდვა მოჰყვა. მათ შორის „კამპ ნოუს" არენაზე მაყურებლების დასწრების აკრძალვა.



# მამუკელაშვილის საუცხოო მატჩი მილუოკიში: 29 წუთი, 9 ქულა და 7 მოხსნა NBA-ს საგამოფენო მატჩში

## ბითაძემ ინდიანას რიგებში 3 ქულა, 2 მოხსნა და 2 დაფარება დააგროვა






სანდრო მამუკელაშვილის ბრწყინვალე სტარტი „მილუოკი ბაქსში". მართალია, სანდრომ ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე უკვე ითამაშა მილუოკელთა გუნდში, თუმცა ის ახალბედებისა და გუნდში მოხვედრის უკონტრაქტო კალათბურთელებისგან დაკომპლექტებული დროებითი შემადგენლობა იყო. გუშინ კი, მამუკელაშვილმა საგამოფენო მატჩში „მემფისის" წინააღმდეგ ითამაშა „ბაქსის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად და თავისიანთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გამოსარჩევი ამბავია, რომ მამუკელაშვილმა მილუოკელთაგან ყველაზე მეტი - 29 წუთი ითამაშა. ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და „ბაქსის" ძირითადი ცენტრი, ბრუკ ლოპესი შეცვალა. ამ უკანასკნელმა მოედანზე გატარებულ 20 წუთში 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. მამუკელაშვილის ანგარიშზეც 9 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა, რასაც 3 პასი მოაყოლა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

მილუოკელთა შემადგენლობაში ტრავმის გამო არ უთამაშია გუნდის ლიდერ იანის ანტეტოკუნმპოს, საუკეთესო შედეგი კი, ჯორდან ნვორამ დააფიქსირა - 16 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა. მატჩი „მემფისის" გამარჯვებით - 87:77 დასრულდა. გამარჯვებულებს 27 ქულით, 6 მოხსნით და 4 პასით ახალგაზრდა ვარსკვლავმა ჯა მორანტმა ულიდერა.

წააგო „ინდიანამაც", რომლის შემადგენლობაშიც ქართველმა ცენტრმა, გოგა ბითაძემ 11:44 წუთი ითამაშა. ინდიანელები „ნიუ იორკს" შეხვდნენ და 104:125 წააგეს. ქართველმა ცენტრმა 1 ორქულიანი ააცილა, 3 სამიანიდან კი, 1 ჩააგდო. 3 ქულასთან ერთად ბითაძემ 2 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. ინდიანელთა ძირითადმა ცენტრმა მაილს ტერნერმა 17:48 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

მომდევნო მატჩებს ბითაძისა და მამუკელაშვილის გუნდები 8 ოქტომბერს გამართავენ. „ინდიანა" კლივლენდში „კავალიერსს" შეხვდება, „მილუოკი" კი, ბრუკლინში - „ნეტსს". *www.gbf.ge*-ს მიხედვით.

# 19-წლამდელები უელსს დაუზავდნენ

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველი შეხვედრა გამართა. ვასილ მაისურაძის დარიგებულმა გუნდმა მე-10 ჯგუფში, რომლის მასპინძელიც ნორვეგიაა, უელსის წინააღმდეგ მატჩი 0:0 დაასრულა. მანამდე, ნორვეგიამ კოსოვოს 3:0 სძლია.

ქართველი 19-წლამდელები მეორე ტურის მატჩს 9 ოქტომბერს კოსოვოს წინააღმდეგ ჩაატარებენ, 12 ოქტომბერს კი, მასპინძელ ნორვეგიას დაუპირისპირდებიან.

ჯგუფიდან საუკეთესო 2 ნაკრები ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

საქართველომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ხარატიშვილი, ჩხეტიანი (63. ბაგრატიონი), პირტახია, სალუქვაძე, დუნდუა, ო. მამაგეიშვილი, გაგნიძე, გეგუჩაძე (80. ცხოვრებაშვილი), გვიშიანი, კვერნაძე (86. სიხარულაშვილი), გ. მამაგეიშვილი (86. ხაბულიანი).**

# გიორგი სარდალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

იტალიის ქალაქ ოლბიაში დაწყებულ ძიუდოისტთა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი სარდალაშვილმა** ოქროს მედალი მოიპოვა.

ქართველმა ძიუდოისტმა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოსვლა მეორე წრიდან დაიწყო და ყველა ბრძოლა იპონით მოიგო. მან ჩილელი ლუკას ფერნანდესი, იტალიელი სიმონე ავერსა, ყაზახი შერზოდ დავლატოვი და ისრაელის ნაკრების წარმომადგენელი იამ ვოლჩაკი დაამარცხა.

ფინალში სარდალაშვილის მეტოქე აზერბაიჯანელი ტურან ბაირამოვი იყო, რომელსაც 2 ვაზარი აუღო და გაფორმებული იპონით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ასევე 60კგ-ში ჭიდაობდა **შაქრო შათირიშვილი**, რომელმაც კანადელი ჟოელ დემაერე, ალჟირელი აბდელატიფ ელ მაჰდი ბუბეტრა და პორტუგალიელი ტრალაო ფერნანდესი დაამარცხა, თუმცა, სამწუხაროდ, მეოთხედფინალში უზბეკ კამოლიდინ ბახტიროვთან წააგო და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ფრანგ რომაინ ვალადიესთან დამარცხდა. შესაბამისად, მან ბრინჯაოს შანსი დაკარგა.

გოგონებს შორის 53 კილოგრამ წონით კატეგორიაში **მარიამ ლაპაჩიშვილი** გამოვიდა, რომელმაც იტალიელ ილენია მონაკოსთან წააგო და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას ასევე დაიცავენ: **გიორგი შერაზადიშვილი (81კგ.), ნიკა ხარაზიშვილი, ლაშა მღებრიშვილი (ორივე 90კგ.), ილია სულამანიძე, მიხეილ ჯაფარიძე (ორივე 100კგ.), საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი (ორივე +100კგ.), ნინო ლოლაძე, რეჯინა უთნელიშვილი (ორივე 57კგ.) და ინდირა სილაგაძე (63კგ.).**



# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ბელგიას სძლიეს და ფინალში პორტუგალიას შეხვდებიან

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ბელგია 37:3 დაამარცხეს და 9 ოქტომბერს ფინალში ტიტულს პორტუგალიასთან დაიცავენ. პორტუგალიამ ნახევარფინალში ესპანეთს დიდი ბრძოლა გაუმართა და 31:12 დაამარცხა.

ანგარიში პეტრე ხუციშვილმა ჯარიმით გახსნა. შემდეგ, ლუკა სახელაშვილმა ლელო ალამთან გაიტანა. 21-ე წუთზე მეორე ლელო გავიდა □ 5-მეტრიანი მოლი ნიკოლოზ ბაბუნაშვილმა დაასრულა და ხუციშვილმა გარდასახა. მორიგი ლელო დავით ხუროშვილმა მარჯვენა ალამთან დადო □ 20:3. მეორე ტაიმის დასაწყისში გიგი ქურხულმა და ნიკა ლომიძემ დაალელოვეს მეტოქე, 58-ე წუთზე კი, ჩვენი კიდევ ერთი ხელდახელ შეტევა ქურხულის დუბლით და ზუსტი გარდასახვით დასრულდა □ 37:3. *www.rugby.ge*-ს მიხედვით.

ISSN 1512-1380
გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru